1976/2

პროლეტარიატის ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

585/2

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (425)

1976 წლის ივნისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

1976

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (425) ივნისი 1976 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

88. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ.

89. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების შესახებ.

90. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ.

91. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების შესრულების მდგომარეობის თაობაზე.

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

92. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 72-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

კ. მარქსის სახ. სახ. ბიბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

93. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „რაიონული დაქვემდებარების ქალაქ წყალტუბოს რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნისა და წყალტუბოს რაიონის გაუქმების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე და ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-19 მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ

94. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე.

95. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „ახლადშექმნილ რაიონში, ქალაქში, დაბასა და სასოფლო საბჭოში მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების არჩევნების ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

96. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი მეათე ხუთწლედში სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანების შესასრულებლად მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების როლის ამაღლებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

97. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების გადაწყვეტისა და ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

98. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის მუშაობის შესახებ.

99. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრის გათავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე.

100. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. გ. ი. ბახტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

101. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

102. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. ზ. ა. კვაჭაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

103. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად არჩევის შესახებ.

104. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. ზ. ა. კვაჭაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

105. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. რ. ა. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

106. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

107. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ვ. ზედგინიძის მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

108. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

109. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ხელოვნების მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

110. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ვ. ლ. მრელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

111. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

112. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და რესპუბლიკური ფსიქიატრიული კლინიკური საავადმყოფოს თანამშრომლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

113. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ი. ბ. იმნაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

114. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ჯ. კ. კალაევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

115. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. გ. მირიანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

116. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ გ. ნ. ქარცივაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში .

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

საინფორმაციო ცნობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

88 საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ

„მეათე ხუთწლედში სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანების შესასრულებლად მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების როლის ამაღლებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის დადგენილების შესრულების საქმეში საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი საბჭოების დეპუტატების, მუდმივი კომისიების, აღმასკომების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ფართო მონაწილეობის უზრუნველსაყოფად „მეათე ხუთწლედში სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანების შესასრულებლად მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების როლის ამაღლებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის დადგენილების განსახორციელებლად.

ბ) ამა წლის პირველ სექტემბრამდე განიხილონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აღნიშნული დადგენილება საბჭოების სესიებზე, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა კრებებსა და სოფლის ყრილობებზე. ამასთან, განსაკუთრებით გაამახვილონ ყურადღება იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც შეინიშნება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობაში. აამაღლონ საბჭოების დეპუტატების, მუდმივი კომისიების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სესიის დადგენილების შესრულების საქმეში.

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს მონაწილეობა მიიღონ თავიანთი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების კრებებზე და სოფლის ყრილობებზე სესიის დადგენილების განხილვაში და ინფორმაცია ამომრჩეველთა მიერ დაყენებული წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრამდე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას (ამხ. მ. ბაღათურია) ადგილებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრაქტიკული დახმარება გაუწიოს საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს და დააწესოს სათანადო კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 30 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

89 საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხები განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა ინფორმაცია განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1976 წლის 1 სექტემბრამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 30 ივნისი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

90 თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა საკითხი ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ აღნიშნავს, რომ საბჭოებმა, ხელმძღვანელობდნენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“, სკკპ XXV ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტილებებით, მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა. ამასთან, აღინიშნოს, რომ საბჭოების საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიისათვის მზადების პერიოდში.

საბჭოების მუდმივი კომისიების უმრავლესობა, იყენებს რა კანონებს ადგილობრივი საბჭოებისა და დეპუტატთა სტატუსის შესახებ, აგრეთვე დებულებით მინიჭებულ უფლებებს, აქტიურად მონაწილეობს საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობაში, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში, ღრმად წვდება ქალაქის სამრეწველო და სოციალურ-კულტურული განვითარების საკითხებს, ხელს უწყობს დამატებითი რეზერვების გამოვლენასა და მათ ამოქმედებას.

1975 წელს და 1976 წლის პირველ ნახევარში თბილისის საქალაქო საბჭოს 15 მუდმივმა კომისიამ სესიებისა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომების განსახილველად მოამზადა 41 საკითხი, ხოლო თბილისის რაიონული საბჭოების 85 მუდმივმა კომისიამ — 250 საკითხი.

საქალაქო და რაიონული საბჭოების საგეგმო-საბიუჯეტო კომისიები, მშენებლობის, მრეწველობის და ტრანსპორტის მუდმივ კომისიებთან ერთად, სისტემატურად სწავლობენ სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, სათანადო ყურადღებას უთმობენ შრომის ნაყოფიერების ამაღლების, ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდების და ხარისხის გაუმჯობესების, მატერიალური და შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენების საკითხებს, ეხმარებიან საწარმოებსა და ორგანიზაციებს მუშაობაში.

თბილისის საქალაქო საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის აქტიური მუშაობის შედეგად ქ. თბილისის 1975 წლის ბიუჯეტის შემოსავლის გეგმა 105,3 პროცენტით შესრულდა, ხოლო მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის რეკომენდაციით ელმავალმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე აშენდა თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი.

ნაყოფიერად მუშაობენ ლენინის რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიები. ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუდმივი კომისიის ინიციატივით თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის დასახლებაში საზოგადოებრივ საწყისებზე გაიხსნა სამედიცინო დახმარების პუნქტი. ასევე კარგად მუშაობენ თბილისის საქალაქო საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, კალინინის, 26 კომისრის და პირველი მაისის რაიონული საბჭოების სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიები და სხვ.

თბილისის სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის და მაღალი კულტურის ქალაქად გადაქცევის საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ საბჭოების კულტურის, ახალგაზრდობის საქმეთა, კეთილმოწყობის, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივ კომისიებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდმივი კომისიები მიმართავენ მუშაობის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს. ლენინის რაიონული საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, კეთილმოწყობისა და გამწვანების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივმა კომისიებმა რაისაბჭოს მეექვსე გამსვლელი სესიისათვის მოამზადეს საკითხი გლდანისა და ელმავალმშენებელი ქარხნის დასახლებებში მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და კულტურული მომსახურების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. საქარხნო რაიონული საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივმა კომისიამ აღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიასთან ერთად განიხილა საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების პედაგოგ-ორგანიზატორების მუშაობის საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მუდმივი კომისიები ატარებენ გამსვლელ სხდომებს, რაც საწარმოო საკითხების უფრო კვალიფიციურად შესწავლისა და გადაწყვეტის საშუალებას იძლევა, განამტკიცებს კავშირს საბჭოსა და მოსახლეობას შორის. გამსვლელი სხდომები ჩაატარეს თბილისის საქალაქო და ლენინის რაიონული საბჭოების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს ვაჭრობის, საქარხნო რაიონული საბჭოს კეთილმოწყობის, საბინაო და კომუნალური მეურნეობის, ლენინისა და ორჯონიკიძის რაიონული საბჭოების ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუდმივმა კომისიებმა და სხვ.

მუდმივი კომისიების უმრავლესობა პერიოდულად ამოწმებს საბჭოებისა და აღმასკომების გადაწყვეტილებების, თავისი რეკომენდაციების, აგრეთვე ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებების შესრულების მიმდინარეობას, ამომრჩეველთა განაწესების განხორციელების საკითხებს.

თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობის დონის ამაღლება, მუდმივი კომისიების აქტიური მონაწილეობა სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხების გადაჭრაში ხელს უწყობს სახელმწიფო გეგმების და ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას. ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს წარმოების ზრდის მოცულობის, შრომის ხაყოფიერების აძაღლებისა და პროდუქციის რეალიზაციის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალებანი.

ამასთან, თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების ზოგიერთი მუდმივი კომისია სრულად ვერ იყენებს დებულებით მინიჭებულ უფლებებს და აქტიურად არ მონაწილეობს საბჭოების საქმიანობაში.

ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს მუდმივმა კომისიებმა გეგმებით გათვალისწინებული 76 საკითხიდან შეისწავლეს მხოლოდ 47. საქარხნო, 26 კომისრის სახელობის, ოქტომბრისა და კალინინის რაიონული საბჭოების ზოგიერთი მუდმივი კომისია საკითხებს დიდი დაგვიანებით იხილავს. ხოლო რიგი კომისია (26 კომისრების, კალინინის, საქარხნო, ოქტომბრის რაიონები) სხდომებს იწვევს მხოლოდ კვარტალური სამუშაო გეგმების დასამტკიცებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდმივი კომისიების ნაწილს (თბილისის საქალაქო, ორჯონიკიძის, ლენინის, საქარხნო რაიონული საბჭოები) აღმასკომებისა და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიმართ გამოაქვს დამავალდებულებელი გადაწყვეტილებები.

ოქტომბრის რაიონული საბჭოს მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის და კიროვის რაიონული საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივ კომისიებს საანგარიშო პერიოდში არ მოუმზადებიათ საკითხები სესიების ან აღმასკომების სხდომების განსახილველად.

თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოები, მათი აღმასრულებელი კომიტეტები სათანადო ზომებს არ იღებენ მუდმივი კომისიების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, არ ქმნიან საჭირო პირობებს იმისათვის, რომ კომისიებმა სრულად განახორციელონ დაკისრებული ფუნქციები, გამოიყენონ მინიჭებული უფლებები. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს არც ერთხელ არ შეუსწავლია რაიონული საბჭოების მუდმივი კომისიების საქმიანობა და არ გაუტარებია საჭირო ღონისძიებანი მათ მუშაობაში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თბილისის საქალაქო და ზოგიერთი რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 აპრილის დადგენილების შესაბამისად არ დაუმტკიცებია დეპუტატების, მუდმივი კომისიების წინადადებებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და შესრულების შემოწმების წესი. შედეგად, აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებების, სამმართველოების, წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები ზოგჯერ დაგვიანებით იხილავენ მუდმივი კომისიების მიერ დაყენებულ საკითხებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მთელ თავიანთ საქმიანობას საფუძვლად დაუდონ „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, გააქტიურონ დეპუტატების, მუდმივი კომისიების საქმიანობა ამ დადგენილების შესასრულებლად, რისთვისაც:

ა) გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა მუდმივი კომისიების მუშაობისადმი, სრულყონ მათი საქმიანობის ფორმები და მეთოდები. მიაღწიონ იმას, რომ მუდმივი კომისიები აქტიურად მონაწილეობდნენ სესიებისა და აღმასკომების სხდომების განსახილველი საკითხების მომზადებაში, გამოდიოდნენ მოხსენებით და თანამოხსენებით, იღებდნენ სათანადო ზომებს სესიების, აღმასკომების გადაწყვეტილებებისა და თავიანთი რეკომენდაციების განხორციელებისათვის, ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისათვის;

ბ) მუდმივი კომისიების საქმიანობა წარმართონ ისე, რომ ისინი პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატებითი რეზერვების გამოვლენასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში, შრომის ნაყოფიერების ამაღლებასა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში, მეათე ხუთწლედის გეგმებისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში;

გ) მიაღწიონ იმას, რომ მუდმივი კომისიების ყველა წევრი აქტიურად მონაწილეობდეს სესიების, აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების მუშაობაში, იჩენდეს პირად ინიციატივას ცალკეული საკითხების გადაწყვეტაში;

დ) სისტემატურად შეისწავლონ და განიხილონ წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მუდმივი კომისიების მიერ დაყენებული წინადადებებისა და რეკომენდაციების აღრიცხვისა და შესრულების მდგომარეობა, მიაღწიონ იმას, რომ მუდმივ კომისიებს დაწესებულ ვადაში აცნობონ მათი განხილვისა და შესრულების შედეგები.

2. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1976 წლის ბოლოსათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განიხილონ მუდმივი კომისიების მუშაობის საკითხი და განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებანი მათი მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 30 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

91 საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის გრძანებულების შესრულების მდგომარეობის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის ამხ. ვ. სობოლევის მოხსენება და განიხილა პრეზიდიუმის მისაღების მიერ ჩატარებული შემოწმების მასალები, აღნიშნავს, რომ სამინისტროს აპარატსა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში ამ ბოლო დროს მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებების და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებისა და აღნიშნულ საკითხზე სკკპ და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტების დადგენილებათა განსახორციელებლად.

სამინისტრო კოლეგიის სხდომებზე სისტემატურად ისმენს საკითხებს მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა-რეაგირების მდგომარეობისა და მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების შესახებ, ახორციელებს კონკრეტულ ღონისძიებებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

ამასთან, მშრომელთა წერილებზე მუშაობა და მოქალაქეთა მიღების მდგომარეობა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში ჯერ კიდევ ვერ პასუხობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების, მშრომელთა წერილებზე მუშაობის თაობაზე სკკპ და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტების დადგენილებების, სკკპ XXV ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მოთხოვნებს.

ზოგჯერ ირღვევა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის კანონით დადგენილი ვადები; თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში 91 განცხადება და საჩივარი განხილულია დაწესებული ვადის დარღვევით, 551 განცხადება-საჩივრიდან 84 განხილულია დიდი დაგვიანებით. ანალოგიური მდგომარეობაა სამინისტროს რესპუბლიკურ-სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში და „თბილინდტანსაცმლის“ გაერთიანებაში.

თბილისის ქიმიური წმენდისა და ღებვის ფაბრიკაში არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მშრომელთა წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე, არ წარმოებს ყველა შემოსული განცხადებისა და საჩივრის რეგისტრაცია და აღრიცხვა. 1975 წლის მარტში და 1976 წლის თებერვალში შემოსული მოქალაქეთა: დვალაძის, ადამოვას, ლემონჟავას, მაჭავარიანის და ბეროძის განცხადებები რეაგირების გარეშეა დატოვებული.

სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ გვხვდება წერილებისა და განცხადებების განხილვა-გადაწყვეტისადმი ფორმალური მიდგომის, უყურადღებო დამოკიდებულების ფაქტები. მაგალითად, მოქ. დ. იმნაძის განცხადებაზე სამოქალაქო მომსახურების ტრესტმა სამინისტროს 8 თვის დაგვიანებით უპასუხა, რომ განმცხადებელი დაკმაყოფილებულია, იმ დროს, როცა შემოწმების დღისათვის მისი თხოვნა შესრულებული არ იყო.

მოსახლეობის დაკვეთით ბინების შეკეთებისა და მშენებლობის ტრესტ „საქყოფრემმშენში“ 1974 წლის მაისში მოქ. ალიაშვილის მიერ შეტანილი განცხადება საცხოვრებელი ბინის ავარიულობის გამო სასწრაფო შეკეთების თაობაზე, დღემდე არ არის განხილული, ხოლო მოქ. ი. ყურაშვილის განცხადების შესწავლას 5 თვე დასჭირდა.

განმცხადებლისათვის პასუხის გაცემა ჭიანურდება მაშინაც კი, როდესაც განცხადება არ საჭიროებს ადგილზე შემოწმებას.

არის შემთხვევები, როცა სამინისტრო პასუხის გაცემას აგვიანებს ზემდგომი ორგანოებიდან გადმოგზავნილ, კონტროლზე აყვანილ განცხადებებსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საჩივრებზე. მაგალითად, მოქ. მ. კიკოლაშვილმა განცხადებით მიმართა ზეთ „იზვესტიის“ რედაქციას, სამინისტრომ რედაქციას და განმცხადებელს პასუხი გაუგზავნა 70 დღის დაგვიანებით, ასევე სამინისტრომ მოქ. მ. სტეფანოვს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ გაგზავნილ განცხადებაზე 48 დღის დაგვიანებით უპასუხა.

სამინისტროში ჯერ კიდევ არ ღებულობენ ყველა ზომას იმ განცხადებებსა და საჩივრებზე პასუხის დროულად მიღებისათვის, რომლებიც გადაგზავნილია მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში და აყვანილია კონტროლზე; 1975 წელს და 1976 წლის პირველ კვარტალში კონტროლზე აყვანილ 105 განცხადებასა და საჩივრიდან 11-ზე დაგვიანებით მიიღო პასუხი, ხოლო 8 განცხადებისა და საჩივრის განხილვის შედეგი ცნობილი არ არის.

სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა ზოგიერთი ხელმძღვანელი სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენს მუშა-მოსამსახურეთა საქმიანობისადმი და სუსტად აკონტროლებს მათ, რის გამოც რიგ ობიექტებში დაბალია მომსახურების კულტურა, ადგილი აქვს სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის, დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი გულგრილი დამოკიდებულების შემთხვევებს, მომხმარებელთა არაკეთილსინდისიერ მომსახურებას, დაკვეთების დიდი დაგვიანებით და უხარისხოდ შესრულების და საპრეისკურანტო ფასებისა და ტარიფების დამახინჯების ფაქტებს, რაც იწვევს მშრომელთა სამართლიან უკმაყოფილებას და საჩივრებს. „თბილინდტანსაცმლის“ გაერთიანების № 28 ატელიეში დაკვეთები დიდი დაგვიანებით და უხარისხოდ სრულდება.

სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში არ სწავლობენ განცხადებებისა და საჩივრების გამომწვევ მიზეზებს და, რაც მთავარია, არ იღებენ საჭირო ზომებს იმ საკითხების მოსაგვარებლად, რომლებზეც ხშირად სწერენ მშრომელები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს:

ა) მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვას საფუძვლად დაუდოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულება, სკკპ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტების დადგენილებანი, სკკპ XXV ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი;

ბ) პერიოდულად შეისწავლოს და კოლეგიის სხდომებზე მოისმინოს აპარატში და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა-შესწავლის, მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციისა და აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები, დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა დროულად აღმოსაფხვრელად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) აამაღლოს თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობა განცხადებებსა და საჩივრებში დაყენებული საკითხების სწორი და დროული გადაწყვეტისათვის. არ დაუშვას მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების, მოქალაქეთა კანონიერი თხოვნის რეაგირების გარეშე დატოვების არც ერთი შემთხვევა. მკაცრი ზომები მიიღოს იმ პირთა მიმართ, რომელნიც პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ამ საქმეს;

დ) უმოკლეს დროში მოაწესრიგოს სამინისტროს აპარატსა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვისა და მათ შესრულებაზე კონტროლის დაწესების საქმე. სისტემატურად იზრუნოს იმ მუშაკთა კვალიფიკაციისა და სამართლებრივი ცოდნის დონის ასამაღლებლად, რომლებიც ამ საკითხებზე მუშაობენ;

ე) მიაღწიოს იმას, რომ დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა კონტროლზე აყვანილ განცხადებებსა და საჩივრებზე დადგენილ ვადებში უპასუხონ სამინისტროს;

ვ) მეტი ყურადღება დაუთმოს განმეორებითი და კოლექტიური განცხადებების განხილვისა და გადაწყვეტის საქმეს, გააანალიზოს მათი გამომწვევი მიზეზები, დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად. ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოებიდან და ცენტრალური გაზეთების რედაქციებიდან გადმოგზავნილი წერილები და საჩივრები აიყვანოს განსაკუთრებულ კონტროლზე;

ზ) გააუმჯობესოს მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა კოლექტივების საქმიანობა და გაზარდოს მუშაკთა პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი. დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადოს დაკვეთების დიდი დაგვიანებით და უხარისხოდ შესრულების, საპრეისკურანტო ფასებისა და ტარიფების დამახინჯების ფაქტებს. განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი მომსახურების კულტურის დონის ასამაღლებლად.

2. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ აცნობოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1976 წლის დეკემბერში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ᲚᲐᲨᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

თბილისი, 1976 წლის 30 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

92 „საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 72-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 28 მაისის გრძანებულება „საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 72-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 21 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

93 „რაიონული დაქვემდებარების ქალაქ წყალტუბოს რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნისა და წყალტუბოს რაიონის გაუქმების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე და ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-19 მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 28 მაისის გრძანებულება „რაიონული დაქვემდებარების ქალაქ წყალტუბოს რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნისა და წყალტუბოს რაიონის გაუქმების შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-19 მუხლში შემდეგი ცვლილებები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა „წულუკიძის“ შემდეგ ამოღებულ იქნეს სიტყვა „წყალტუბოს“ და სიტყვების „ტყიბულისა და“ ნაცვლად დაემატოს სიტყვები „ტყიბულის, წყალტუბოსა და“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 21 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

94 საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები:

1976 წლის 10 თებერვლისა — „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 25-ე მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ“;

1976 წლის 26 მარტისა — „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების წესის შესახებ ცალკეულ საარჩევნო ოლქებში გასული დეპუტატების ნაცვლად“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 2 ოქტომბრის გრძანებულებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ“;

1976 წლის 26 მარტისა — „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ცალკეულ საარჩევნო ოლქებში არჩევნების საარჩევნო კამპანიის ვადის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 8 მაისის გრძანებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 21 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

95 ახლადშექმნილ რაიონში, ქალაქში, დაბასა და სასოფლო საბჭოში მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების არჩევნების ჩატარების წესის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 20 აპრილის გრძანებულება — „ახლადშექმნილ რაიონში, ქალაქში, დაბასა და სასოფლო საბჭოში მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების არჩევნების ჩატარების წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 21 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

96 მეათე ხუთწლედში სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანების შესასრულებლად რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების როლის ამაღლებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. პ. გ. გილაშვილის მოხსენება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეათე ხუთწლედში სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების როლის ამაღლებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, აღნიშნავს, რომ სკკპ XXV ყრილობისათვის მზადებამ, ყრილობის გადაწყვეტილებებმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ, რომელშიც შეჯამებულია ჩვენი სამშობლოს უდიდესი წარმატებები საზოგადოებრივი ცხოვრების, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ყველა სფეროში, დასახულია პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, შემუშავებულია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის დიადი პროგრამა, — როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, ასევე ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების არნახული შრომითი და პოლიტიკური აქტივობა გამოიწვია.

რესპუბლიკაში ვადამდე, 1975 წლის 2 დეკემბრისათვის შესრულდა სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის მეცხრე ხუთწლედის გეგმა. წინა ხუთწლედთან შედარებით 19,2 პროცენტით გაიზარდა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება. გადაჭარბებით შესრულდა მარცვლეულის, ხორცის, რძის, ჩაის, ციტრუსების, ხილის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად წარმატებით მიმდინარეობს მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმების შესრულება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. სამრეწველო პროდუქციის წარმოების მიმდინარე წლის 5 თვის გეგმა შესრულებულია 102,8 პროცენტით, რეალიზაციისა — 102.6 პროცენტით. ასევე გადაჭარბებითაა შესრულებული ხორცის, რძის და კვერცხის შესყიდვის გეგმები.

დიდია მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების წვლილი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების წარმატებით შესრულების საქმეში. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა, ხელმძღვანელობდნენ რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებებით რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, კანონებით ადგილობრივი საბჭოების შესახებ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული დადგენილებებით, არსებითად გააუმჯობესეს მუშაობა ადგილობრივი მეურნეობის ხელმძღვანელობისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების განხორციელებისათვის.

ადგილობრივი საბჭოები ახლა უფრო ღრმად სწვდებიან მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა დარგებს; აძლიერებენ კონტროლს კანონმდებლობის შესრულებაზე; იღებენ ქმედით ზომებს საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა. გააქტიურდა საბჭოების დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების საქმიანობა. ამაღლდა საბჭოების სესიებისა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომების მომზადებისა და ჩატარების დონე. სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე რეგულარულად იხილება სამეურნეო-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები; სათანადო ყურადღება ექცევა დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის განხორციელებას, სესიების მოწვევის კონსტიტუციური ვადების დაცვას, აღმასკომების, მათი ეანყოფილებებისა და სამმართველოების მიერ მოსახლეობისათვის ანგარიშების ჩაბარებას, ამომრჩეველთა განაწესების

საბჭოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულებას. გაუმჯობესდა კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე (ქუთაისის, რუსთავის საქალაქო, კასპის, ლაგოდეხის, ზესტაფონის, ახალციხის, წყალტუბოს, ცხაკაიას, მახარაძის, თბილისის ლენინის და ორჯონიკიძის რაიონული საბჭოები და სხვ).

გასულ წელს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა 98 პროცენტმა ანგარიში ჩააბარა ამომრჩევლებს, ყველა აღმასრულებელმა კომიტეტმა — სესიას, ხოლო აღმასკომების 96,7 პროცენტმა — მოსახლეობას.

ამასთან, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის დღევანდელი დონე არ პასუხობს იმ გაზრდილ მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ XXV და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობების დადგენილებებიდან, საქართველოს სსრ კანონებიდან მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, რაიონული და საქალაქო საბჭოების შესახებ.

ბევრი ადგილობრივი საბჭო ვერ იყენებს მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებებს და შესაძლებლობებს სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგში, სათანადო გავლენას არ ახდენს სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობაზე. კოორდინაციას ვერ უკეთებს სხვადასხვა უწყებებისადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას საბინაო, კომუნალური მშენებლობის, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დარგში, არ ზრუნავს ადგილობრივი რესურსების ბაზაზე მრეწველობის განვითარებისა და სამშენებლო მასალების წარმოებისათვის.

საბჭოების ნაწილი სუსტად წარმართავს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობას მემინდვრეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის რეზერვების სრულად გამოსაყენებლად.

ჯეროვანი კონტროლი არ არის დაწესებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე. სუსტად წარმოებს ბრძოლა უდისციპლინობისა და უყაირათობის წინააღმდეგ. 1975 წლის მონაცემებით რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 42.200 კოლმეურნემ 50 დღეზე ნაკლები იმუშავა, ხოლო 7.700 კოლმეურნეს საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში. შეინიშნება კოლმეურნეობის წესდებისა და საკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების უხეში დარღვევის ფაქტები.

ცუდი მდგომარეობაა რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულების დარგში (კაპიტალურ დაბანდებათა 1976 წლის 5 თვის გეგმა შესრულებულია 84 პროცენტით) და, განსაკუთრებით, საბინაო და კულტ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის ხაზით. ასე, მაგალითად, საბინაო მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა მიმდინარე წლის 5 თვეში შესრულდა 88 პროცენტით, სკოლების მშენებლობისა — 82 პროცენტით, სკოლამდელი დაწესებულებებისა — 61 პროცენტით, სამედიცინო დაწესებულებებისა — 61

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცენტით. მიუხედავად ამისა, მშრომელთა დეპუტატების მოელი რიგი საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები (ფოთი, ბორჯომი, მაიაკოვსკი, მახარაძე, წულუკიძე, სოხუმი, ცხინვალი, აბაშა და სხვ.), შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, არ იღებენ ქმედით ზომებს ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ.

სათანადო ღონისძიებები არ ტარდება სახალხო განათლების, კულტურის, ვაჭრობის, მოსახლეობის მომსახურების დარგში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ბოგდანოვკის, ამბროლაურის, ახალქალაქის, თიანეთის, თეთრი წყაროს, მარნეულის, ბოლნისის, გარდაბნის რაიონებში, ქალაქ ჭიათურასა და სხვა რაიონებსა და ქალაქებში ადგილი აქვს მოსწავლეთა სკოლებიდან დიდი რაოდენობით განთესვის ფაქტებს.

დაბალია კულტურის სახლების, სასოფლო კლუბებისა და ბიბლიოთეკების მუშაობის დონე. ბევრი დასახლებული პუნქტი, სადაც 200 ათასზე მეტი მოსახლეა, კინომომსახურების გარეშეა დატოვებული. მრავალი სასოფლო საბჭო არ არის რადიოფიცირებული. საჭირო ყურადღება არ ექცევა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მუშაობას, დასახლებული პუნქტების სანიტარიულ მდგომარეობას, სამედიცინო მომსახურებას, განსაკუთრებით ცენტრებიდან დაშორებულ სოფლებსა და მუშათა დასახლებებში. ბევრ რაიონსა და ქალაქში არადამაკმაყოფილებელია სავაჭრო მომსახურება, არ სრულდება საქონელბრუნვის და საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმები, ადგილი აქვს ვაჭრობის წესების უხეშ დარღვევას, დატაცებასა და გაფლანგვას. რესპუბლიკის 1.000-მდე დასახლებულ პუნქტში არ არის საყოფაცხოვრებო დანიშნულების არც ერთი ობიექტი. გარდა იმისა, რომ რესპუბლიკა ერთ სულ მოსახლეზე საყოფაცხოვრებო მომსახურების დონით ჩამორჩება საერთო საკავშირო მაჩვენებლებს, საგრძნობლად დიდია განსხვავება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მომსახურების დონეს შორის: ქალაქში ერთ სულ მოსახლეზე მომსახურების მაჩვენებელი შეადგენს 35 მანეთსა და 11 კაპიკს, სოფელში კი — 10 მანეთსა და 78 კაპიკს.

ნაკლოვანებებია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში. დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი სათანადოდ არ არიან მობილიზებული საბჭოების წინაშე მდგარი სამეურნეო-ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად. არც თუ იშვიათად სესიები და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომები ტარდება მოუმზადებლად, განსაჩილველად შეტანილი საკითხებისადმი ზერელე მიდგომით, ნაკლოვანებების მიმართ სერიოზული კრიტიკის გარეშე, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

არის შემთხვევები, როდესაც საბჭოების აღმასკომები არ იცავენ სესიების მოწვევის კონსტიტუციით დადგენილ ვადებს, ანგარიშს არ აბარებენ მოსახლეობას.

ბევრი საბჭო ჯეროვნად არ უწევს კონტროლს კანონმდებლობის დაცვას, გულისხმიერებით არ ეკიდება მშრომელთა წერილებსა და განცხადებებს, სუსტად იბრძვის საზოგადოებრივი წესრიგის და სახელმწიფო დისციპლინის გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკიცებისათვის, წარსულის მავნე გადმონაშთების, მექრთამეობის, მუქთახორობის და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა წინააღმდეგ. სათანადო მუშაობა არ ტარდება სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

I. რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა:

1. თავიანთი საქმიანობა წარმართონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელად შესასრულებლად. საბჭოების, მათი აღმასკომების, მუდმივი კომისიების, დეპუტატების, მშრომელთა ფართო მასების მთელი ორგანიზატორული, სამეურნეო და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა დაუქვემდებარონ რესპუბლიკის მიერ მეათე ხუთწლედის გეგმებისა და აღებულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პარტიის მიერ დასახულ გენერალურ კურსს — ხალხის ცხოვრების მატერიალურ-კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას საზოგადოებრივი წარმოების ყოველმხრივი განვითარებისა და ეფექტიანობის გადიდების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების საფუძველზე.

2. შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციების მუშაობის გასაუმჯობესებლად, გამოძებნონ ახალი რეზერვები ადგილობრივი მრეწველობის მნიშვნელოვნად გაფართოებისათვის, განსაკუთრებით სამშენებლო მასალების წარმოებისათვის. სისტემატური კონტროლი დაწესონ მათ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა მიერ ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმებისა და აღებულ ვალდებულებათა შესრულებაზე. საქართველოს სსრ რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების შესახებ კანონის შესაბამისად კოორდინაცია გაუკეთონ საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების საქმიანობას საბინაო, კომუნალური მშენებლობის, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების გაერთიანებისა და ერთობლივად გამოყენებაში.

3. მიიღონ კონკრეტული ზომები ყრილობის მიერ დასახული სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარების ფართო პროგრამის განხორციელებისათვის. მთელ თავიანთ საქმიანობას საფუძვლად დაუდონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“.

მეტი ყურადღება მიაქციონ მიწის სავარგულების რაციონალურად გამოყენებას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოდ დანერგვას, შრომის ორგანიზაციის საკითხებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

აღკვეთონ საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევის შემთხვევები, ეფექტიანად გამოიყენონ სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებანი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრი აღმავლობის საფუძველზე უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებისა და აღებულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება.

4. შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად მიაღწიონ საბინაო, კომუნალური მშენებლობის, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებებისა და სხვა სახსრების ათვისებას. მეტი ყურადღება დაუთმონ ქალაქების, რაიონების, სოფლების და დაბების კეთილმოწყობას, განაშენიანებას, გამწვანებას, გზების მშენებლობას, კომუნალური საცხოვრებელი სახლების მოვლა-პატრონობას. ამ საქმეში უფრო ფართოდ ჩააბან საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიები, დეპუტატები, საწარმოთა, დაწესებულებათა კოლექტივები და მშრომელთა ფართო მასები.

5. საქართველოს სსრ ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებსა და ცეკავშირის გამგეობასთან ერთად გადაჭრით გააუმჯობესონ მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება. მუშაობის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების ფართოდ დანერგვით, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ქსელის შემდგომი გაფართოებით, მათი მატერიალური და ფინანსური ბაზის განმტკიცებით, მომსახურების კულტურის მკვეთრი ამაღლებით მიაღწიონ საქონელბრუნვისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმების წარმატებით შესრულებას.

მეტი დახმარება გაუწიონ ამ დაწესებულებებს კადრების სწორად შერჩევასა, აღზრდაში და მათ საქმიანობაში ქალებისა და ახალგაზრდობის უფრო ფართოდ ჩაბმაში.

6. უზრუნველყონ მოსახლეობაში კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება. კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკების, კინოთეატრების და სხვა კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა წარმართონ ისე, რომ იგი ყოველმხრივ შეესაბამებოდეს სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნებს — საბჭოთა ადამიანების ინტერნაციონალიზმისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით აღზრდას, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას.

სკკპ XXV ყრილობის მასალების ღრმად შესწავლის მიზნით საწარმო-დაწესებულებებსა და საცხოვრებელ მასივებში სისტემატურად ჩაატარონ ლექცია მოხსენებები, საუბრები, მოაწყონ ფოტოსტენდები და სხვ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად მიიღონ ზომები წარსულის მავნე გადმონაშთების აღმოსაფხვრელად და ახალი სოციალისტური წეს-ჩვეულებების დასანერგავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფტექნიკური განათლების სასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, საყოველთაო-სამუალო განათლების გახუხრელად გახსოციელებისათვის.

მეტი ყურადღება მიაქციონ მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე აღზრდის საკითხებს. განამტკიცონ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, იზრუნონ სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების ქსელის გაფართოებასა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ახალგაზრდობას შორის აღმზრდელობითი და სპორტული მუშაობის უკეთ ორგანიზაციაზე.

8. სრულყონ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა საქმიანობა, უზრუნველყონ მოსახლეობის პროფილაქტიკური და სამედიცინო მომსახურების დონის შემდგომი ამაღლება, გააძლიერონ მომთხოვნელობა საწარმოთა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიმართ ჰაერის, წყალსატევების, ნიადაგის გაჭუჭყიანების თავიდან ასაცილებლად. ამასთან, მეტი ყურადღება მიაქციონ სამრეწველო საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებისა და სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისათვის დაწესებული შეღავათების მიცემას. გააძლიერონ კონტროლი მოქალაქეთათვის პენსიებისა და დახმარებების სწორად დანიშვნასა და გაცემაზე; მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ ომის ინვალიდების, ომში დაღუპულთა ოჯახებისა და შრომის ვეტერანების მიმართ.

9. აღმოფხვრან მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი. რეაგირების გარეშე არ დატოვონ მშრომელთა საჭიროებებისა და კანონიერი მოთხოვნებისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულების არც ერთი შემთხვევა. საწარმოებში, დაწესებულებებში და ორგანიზაციებში გააძლიერონ კონტროლი მშრომელთა წერილების, განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განხილვაზე.

10. მიიღონ გადამწყვეტი ზომები დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. სამართალდარღვევათა და ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში უფრო აქტიურად ჩააბან დეპუტატები, ამხანაგური სასამართლოები, სახალხო რაზმეულები, საზოგადოებრიობა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ დანაშაულის თავიდან აცილებასა და პროფილაქტიკას. მეტი მომთხოვნელობა გამოიჩინონ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეთა მიმართ მათ მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესრულებაზე, ჩაატარონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა სამართლებრივ საკითხებზე მშრომელთა კოლექტივებსა და მოსახლეობას შორის.

11. გააუმჯობესონ საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, მიაღწიონ მის მჭიდრო კავშირს რაიონის, ქალაქის წინაშე მდგარი სამეურნეო და სოციალურ-კულტურული ამოცანების გადაწყვეტასთან. საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე სისტემატურად განიხილონ სახალხო მეურნეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკეული დარგების აქტუალური საკითხები, რომელთა მომზადებაში ფართოდ ჩააბან საბჭოების მუდმივი კომისიები, დეპუტატები, აქტივი. უზრუნველყოს მუშაობის საჯაროობა, აღმასრულებელი კომიტეტების, ძათი განყოფილებებისა და სამმართველოების, დეპუტატების ოეგულაოული ანგაოიშგება ძისახლეობის წიხაშე.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების აღრიცხვას, განხილვასა და შესრულებას, საბჭოებისა და ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში დეპუტატებისა და მოსახლეობის ჩაბმას.

გააუმჯობესონ მუშაობა დეპუტატებთან, განუხრელად დაიცვან კანონი სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ.

II. რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტებმა სისტემატურად გააშუქონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის ცალკეული საკითხები. მეტი ყურადღება მიაქციონ საბჭოების მუშაობის დადებითი გამოცდილების გავრცელებას, კანონებისა და საჭირო ლიტერატურის გამოცემას.

III. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს იმ ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც მათ წინაშეა დასახული სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით. მეტი დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიონ მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და აღმასკომების განყოფილებებს და სამმართველოებს.

IV. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ:

მეტი ყურადღება მიაქციოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების როლის გაძლიერებისა და პასუხისმგებლობის შემდგომ ამაღლებას სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხების გადაწყვეტაში, მიიღოს ზომები საბჭოების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

განიხილოს რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების დაქვემდებარებაში იმ საწარმოების და ორგანიზაციების გადაცემის საკითხი, რომლებიც ძირითადად შესაბამისი რაიონისა და ქალაქის მოსახლეობას ემსახურებიან.

V. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მკვეთრად გააუმჯობესოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მთელი საქმიანობის ხელმძღვანელობა, უფრო ოპერატიულად და კონკრეტულად წარმართოს ხელისუფლების ორგანოების მუშაობა ადგილებზე; სისტემატურად შეისწავლოს, განაზოგადოს და გაავრცელოს საბჭოების მუშაობის დადებითი გამოცდილება, კონტროლი გაუწიოს მათ მიერ კანონმდებლობის დაცვას, ადგილობრივი საბჭოების შესახებ კანონებით მინიჭებული უფლებების რეალურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენებას და მოვალეობათა განხორციელებას. გამუდმებით იზრუნოს იმისათვის, რომ ამაღლდეს ადგილობრივი საბჭოების ავტორიტეტი, მათი როლი და აქტივობა სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხების, სკკპ XXV ყრილობის მიერ რესპუბლიკის წინაშე დასახულ ამოცანათა გადაწყვეტაში.

* * *

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო გამოთქვამს რწმენას, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, რესპუბლიკის ყველა მშრომელი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მთელ თავის ძალას, ცოდნასა და ენერგიას მოახმარენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 21 ივნისი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

97 საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების გადაწყვეტისა და ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ზ. ა. პატარიძის მოხსენება „საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების გადაწყვეტისა და ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მდგომარეობის შესახებ“ მიღებულ იქნეს ცნობად.

2. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა დიდი მუშაობა გასწიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ აღძრული საკითხების გადაწყვეტისათვის.

3 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების განხილვისა და განხორციელების დროს მტკიცედ დაიცვან კანონის მოთხოვნა სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ.

4. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე სისტემატურად მოისმინონ მათ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო -დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე აღმასკომების, მათი სამმართველოებისა და განყოფილებების ინფორმაციები დეპუტატთა წინადადებებისა და ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მდგომარეობის შესახებ და დასახონ საჭირო ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა პერიოდულად მოისმინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მოხსენებები დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების განხილვა-გადაწყვეტისა და ამომრჩეველთა განაწესების განხორციელების მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 21 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

98 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია, რომელმაც მოისმინა ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ს. ტ. რიგვავას მოხსენება მუდმივი კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, აღნიშნავს, რომ კომისიამ მნიშვნელოვანი მუშაობა განახორციელა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საანგარიშო პერიოდში, რომელიც ერთ წელიწადს მოიცავს, კომისიამ დეპუტატების, შესაბამისი სამინისტროების, სპეციალისტებისა და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მონაწილეობით შეისწავლა და განიხილა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო მომსახურების შესახებ, რესპუბლიკის კურორტების მდგომარეობისა და მათი განვითარების პერსპექტივების თაობაზე და მარტივი ტიპის სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის მდგომარეობის შესახებ. გარდა ამისა, მრეწველობის მუდმივ კომისიასთან ერთად, შეისწავლა და ორივე კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე განიხილა ჰაერისა და წყლის გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა რესპუბლიკაში და საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად შეიტანა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა კომისიების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და თავისი დადგენილებით რეაგირებისათვის გადასცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის რეკომენდაციათა შესაბამისად საქართველოს პროფსაბჭომ, მრეწველობის, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა გარკვეული ღონისძიებები გაატარეს ჩვილ ბავშვთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით; ბევრი რამ გაკეთდა საკურორტო სეზონისათვის მზადებასთან დაკავშირებით და სხვ.

ამასთან ერთად, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივ კომისიას თავის საქმიანობაში გააჩნია ნაკლოვანებანი; იგი სრულად ვერ იყენებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებით მინიჭებულ უფლებებს — კონტროლი გაუწიოს სამინისტროებს, უწყებებსა და სხვა ორგანიზაციებს ჯანმრთელობის დაცვისა და სოცუზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის განხორციელების საქმეში. სათანადო კონტროლი არ არის დაწესებული აგრეთვე, თავის მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულებაზე, კომისიის მუშაობაში აქტიურად არ მონაწილეობს ყველა მისი წევრი. არის შემთხვევები, როდესაც სამინისტროები და უწყებები მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებენ მუდმივი კომისიის რეკომენდაციებსა და წინადადებებს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივ კომისიას გააძლიეროს დახმარება და კონტროლი შესაბამისი სამინისტროების, უწყებებისა და სხვა რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოებისადმი მათ მიერ სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებების, აგრეთვე მუდმივი კომისიის რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულებაზე. სკკპ XXV ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებს მათ წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესრულებაში. კომისიის საქმიანობაში ფართოდ ჩაებას უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, მეცნიერები, სპეციალისტები, აქტივი, შესაბამისი სამინისტროები და უწყებები.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციებისა და წინადადებების დროულად განხილვისა და შესრულების საქმეს. ამასთან, მტკიცედ დაიცვან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, მუდმივი კომისიების წინადადებებისა და საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი საბჭოს სესიებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და ჩენადადებების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და შესრულების შემოწმების წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 21 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

99 საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრის გათავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1976 წლის 19 თებერვლისა — „ამხ. გ. პ. ზედგინიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ“;

1976 წლის19 თებერვლისა — „ამხ. მ. თ. ჩიხლაძის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ“;

1976 წლის 19 თებერვლისა — „ამხ. კ. კ. გარდაფხაძის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად დანიშვნის შესახებ“;

1976 წლის 20 თებერვლისა — „ამხ. გ. ს. შენგელიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან გათავსუფლების შესახებ“;

1976 წლის 20 თებერვლისა — „ამხ. ბ. ა. ზატუაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ“;

1976 წლის 9 მარტისა — „ამხ. გ. ნ. ენუქიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“;

1976 წლის 22 მარტისა — „ამხ. ვ. ი. მაისურაძის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ“;

1976 წლის 22 მარტისა — „ამხ. ა. ა. შუშანაშვილის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად დანიშვნის შესახებ“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1976 წლის 30 აპრილისა — „ამხ. ი. გ. გვერდწითელის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“;

1976 წლის 12 მაისისა — „ამხ. შ. ა. თითბერიძის საქართველოს სსრ ხეტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ“;

1976 წლის 19 მაისისა — „ამხ. რ. ა. ჯაფარიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 21 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

100 ამხ. გ. ი. ბახტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 10 თებერვლის გრძანებულება — „ამხ. გ. ი. ბახტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 21 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

101 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1976 წლის 10 თებერვლისა — „მახარაძის რაიონის მელექედურის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ახლად წარმოშობილი დასახლების დაბების ჯგუფისათვის მიკუთვნებისა და ქვედა ნასაკირალის სადაბო საბჭოს შექმნის შესახებ“;

1976 წლის 26 მარტისა — „გურჯაანის რაიონის ჯიმითის სასოფლო საბჭოდან სოფელ დარჩეთის გამოყოფისა და არაშენდის სასოფლო საბჭოსათვის მიკუთვნების შესახებ“;

1976 წლის 18 აპრილისა — „წალენჯიხის რაიონში ჩქვალერის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ“;

1976 წლის 13 აპრილისა— „ქ. თბილისის საზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 23 დეკემბრის ბრძანებულებაში ცვლილების შეტანისა და გარდაბნის რაიონში ფონიჭალის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ“;

1976 წლის 28 აპრილისა — ბოლნისისა და ხაშურის რაიონებში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შესახებ“;

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 21 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

102 ამხ. ზ. ა. კვაჭაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ზინაიდა არსენის ასული კვაჭაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მაგიერ მ. მეზვრიშვილი.

თბილისი, 1976 წლის 21 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

103 **ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად არჩევის შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხ. თამარ ვასილის ასული ლაშქარაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად, ამასთან დაკავშირებით გათავისუფლდეს საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მაგიერ მ. მეზვრიშვილი.

თბილისი, 1976 წლის 21 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

104 **ამხ. ზ. ა. კვაჭაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხ. ზინაიდა არსენის ასული კვაჭაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 21 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

105 **ამხ. რ. ა. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. რუსუდან ალექსანდრეს ასული ჯაფარიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 21 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

106 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“:**

სტეფანე გრიგოლის ძე **ბექაური** — რიგითი მილიციელი.
ნუგზარ გრიგოლის ძე **გურგენიძე** — მილიციის უმცროსი სერჟანტი.
ხემიდა მემედის ძე **დევაძე** — მილიციის უმცროსი სერჟანტი.
ჯუზა ნარგიზის ძე **დევდარიანი** — მილიციის უფროსი სერჟანტი.
ამირან ერდიას ძე **კაბანოვი** — რიგითი მილიციელი.
კონსტანტინე ლონგინოზის ძე **კოპანაძე** — რიგითი მილიციელი.
ჯემალ გიორგის ძე **ლაზაშვილი** — მილიციის ლეიტენანტი.
ირაკლი გულას ძე **მიქელაძე** — რიგითი მილიციელი.
დავით რომანოზის ძე **ნაცვლიშვილი** — მილიციის უმცროსი სერჟანტი.
კარლო მიხეილის ძე **სააკაშვილი** — მილიციის უმცროსი სერჟანტი.
ომეხი გრიგოლის ძე **ფაცაცია** — მილიციის უმცროსი სერჟანტი.
გერვასი სილოონის ძე **შეყილაძე** — მილიციის ზემდეგი.
ნუგზარ ივანეს ძე **ჩიკაშვილი** — მილიციის სერჟანტი.
იოსებ ლუარსაბის ძე **ცხოვრებოვი** — მილიციის უფროსი სერჟანტი.
კონსტანტინე ტოფიკის ძე **ხეცია** — მილიციის ზემდეგი.
გურამ გრიგოლის ძე **ხუციშვილი** — მილიციის სერჟანტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 30 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

107 ამხ. ნ. ვ. ზედგინიძის მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულის გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ახალციხის სამოქალაქო თავდაცვის კურსების საწარმოო სწავლების ოსტატი ნუგზარ ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სილის ძე **ზედგინიძე** დაჯილდოვდეს მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ვილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 30 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

108 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, მელიორატორის დღესთან დაკავშირებით, მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორის:

გიორგი ნიკოლოზის ძე **გრიგალაშვილს** — ქარელის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

ვასილ ირაკლის ძე **კოხრეიძეს** — მცხეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

გიორგი ვასილის ძე **მაზიაშვილს** — თბილისის მექანიკური მორწყვის სამმართველოს ჰიდროტექნიკოსს.

გიორგი ალექსის ძე **ქიტუაშვილს** — კასპის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უბნის უფროსს.

ვალერიან ბათლომეს ძე **ქორჩილავას** — გორის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უბნის ჰიდროტექნიკოსს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:

ვახტანგ ვლადიმერის ძე **გურგენიშვილს** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილეს.

ყარამან პავლეს ძე **მიდელაშვილს** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის მმართველს.

მიხეილ ვასილის ძე **სანაძეს** — მარნეულის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის:

ივანე თევდორეს ძე **ამინაშვილს** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის № 3 მექანიზაციის სამმართველოს ექსკავატორის მემანქანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ მიხეილის ძე **ლუკიანენკოს** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის № 4 მექანიზაციის სამმართველოს ექსკავატორის მემანქანეს.

ედუარდ ბაგრატის ძე **მათიაშვილს** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის № 3 მექანიზაციის სამმართველოს ექსკავატორის მემანქანეს.

ვიქტორ თევდორეს ძე **მოსოლოვს** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის № 3 მექანიზაციის სამმართველოს მექანიკოსს.

სტეფანე მიხეილის ძე **პროკოპცევს** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის № 3 მექანიზაციის სამმართველოს ექსკავატორის მემანქანეს.

გიორგი ადამის ძე **ტუაევს** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის № 4 მექანიზაციის სამმართველოს ექსკავატორის მემანქანეს.

ალექსი მიხეილის ძე **ხრიაპინს** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის № 3 მექანიზაციის სამმართველოს ექსკავატორის მემანქანეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 4 ივნისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

109 ხელოვნების მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ხელოვნების დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, ქალის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით, მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის:

მარიამ (მერი) შალვას ასულ **დავითაშვილს** — კომპოზიტორს.

ლია შალვას ასულ **ელიავას** — კინომსახიობს.

თამზარ შალვას ასულ **თაქთაქიშვილს** — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

თამარ პეტრეს ასულ **თეთრაძეს** — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს.

თამარ ნიკოლოზის ასულ **თვალიაშვილს** — თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის ყოფილ მსახიობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე (ლილი) კონსტანტინეს ასულ **იოსელიანს** — რეჟისორს.

თამარ ალექსანდრეს ასულ **იშხნელს** — ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელს.

ზინაიდა ვასილის ასულ **კვერენჩხილაძეს** — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს.

თამარ ივანეს ასულ **კიკნაძეს** — ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ფატმა მურადის ასულ **კობალაძეს** — აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს.

ქეთევან ალექსანდრეს ასულ **ლანდიას** — რადიომაუწყებლობის დიქტორს.

გაიანე სერგოს ასულ **მაჭუტაძეს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

თინა ერასტის ასულ **მერკვილაძეს** — თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

მარინე ვიქტორის ასულ **მდივანს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

თამარ დავითის ასულ **პაპიტაშვილს** — თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატრის მსახიობს.

გულნარა კონსტანტინეს ასულ **ქავთარაძეს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

ფედოსია ბესარიონის ასულ **შედანიას** — სოხუმის ს. ჭინბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ნინო ზაქარიას ასულ **ჩოჩიევას** — ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ეთერ დანიელის ასულ **ცქიტიშვილს** — თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრის მსახიობს.

სოფიო (სოფიკო) მიხეილის ასულ **ჭიაურელს** — თეატრისა და კინოს მსახიობს.

დოდო ვასილის ასულ **ჭიჭინაძეს** — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

ირინე ალექსანდრეს ასულ **ჯანდიერს** — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის:

ნათელა არჩილის ასულ **იანქოშვილს** — მხატვარ-ფერმწერს.

ირინე ვლადიმერის ასულ შტენბერგს — თეატრის მხატვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის:

მანანა შალვას ასულ **ახმეტელს** — მუსიკათმცოდნეს.

ანა გრიგოლის ასულ **ბადრიძეს** — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს.

მარგარიტა კონსტანტინეს ასულ **გოგოლაშვილს** — თეატრმცოდნეს.

ლეილა კონსტანტინეს ასულ **გორდელაძეს** — კინორეჟისორს.

თინა ბაგრატის ასულ **ვირსალაძეს** — ხელოვნებათმცოდნეს.

ლეილა დავითის ასულ **თაბუკაშვილს** — ხელოვნებათმცოდნეს.

ქეთევან დიმიტრის ასულ **თუმანიშვილს** — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კათედრის გამგეს.

მედეა შალვას ასულ **კუჭუხიძეს** — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის რეჟისორს.

ნინო ფეოფილაქტეს ასულ **ლაფერაშვილს** — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის მოვალეობის შემსრულებელს.

ლილი ნიკოლოზის ასულ **ლომთათიძეს** — საქართველოს თეატრალური საზოგადოების განყოფილების გამგეს.

სოფიო იზრაილის ასულ **მირზაშვილს** — მხატვარს.

ნანა ბიძინას ასულ **მჭედლიძეს** — კინორეჟისორს.

ნინელ თოდორეს ასულ **ნენოვას** — კინორეჟისორს.

მირა იაკობის ასულ **ფიჩხაძეს** — მუსიკათმცოდნეს.

სვეტლანა პროკოფის ასულ **ქეცბას** — მუსიკათმცოდნეს.

რუსუდან დიმიტრის ასულ **ჩხეიძეს** — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის:

ელენე ალექსანდრეს ასულ **აბაზაძეს** — პენსიონერს, ყოფილ მსახიობს.

ნათელა შალვას ასულ **არობელიძეს** — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალეტის მსახიობს.

ელენე ალექსანდრეს ასულ **ასლამაზაშვილს** — თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის მსახიობს.

თინა ნიკოლოზის ასულ **ბაბლიძეს** — სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ცისანა ვასილის ასულ **ბასიშვილს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კონცერტმეისტერს

მედეა დავითის ასულ **ბიბილეიშვილს** — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერა ალექსის ასულ **ბიკოევას** — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „სიმდის“ მსახიობს.

ია აკაკის ასულ **ბოკუჩავას** — რუსთავის დრამატული თეატრის მსახიობს.

ეთერ გიორგის ასულ **გელოვანს** — თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის მსახიობს.

იზა შალვას ასულ **გიგოშვილს** — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს.

სტეფანია მათეს ასულ **გოლოვანოვას** — თბილისის თოჯინების სახელმწიფო რუსული თეატრის მსახიობს.

მანანა ლევანის ასულ **დოიჯაშვილს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

მინა იშის ასულ **ვაინბლატს** — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ორკესტრის მსახიობს.

ივეტა გიორგის ასულ **ვინოგრადოვას** — თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატრის მსახიობს.

ზეინაბ დიმიტრის ასულ **ზალდასტანიშვილს** — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს.

ნანა ლუარსაბის ასულ **იაშვილს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

ნინო ვასილის ასულ **იშხნელს** — საქართველოს სახელმწიფო კაპელის მსახიობს.

ლუბა ბესარიონის ასულ **კალანდაძეს** — მახარაძის ა. წუწუნავას სახელობის სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ქეთევან გაბრიელის ასულ **კიკნაძეს** — რუსთავის დრამატული თეატრის ყოფილ მსახიობს.

ნუნუ დიმიტრის ასულ **კოხტაშვილს** — ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ზეინაბ (ზაზა) ვარლამის ასულ **ლებანიძეს** — რუსთავის დრამატული თეატრის მსახიობს.

მარტინა ვლადიმერის ასულ **მაანს** — სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

მერი კონსტანტინეს ასულ **მიქელაძეს** — რადიომაუწყებლობის დიქტორს.

ალა ლევის ასულ **მიტრენკო-ზალინაშვილს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობს.

ბელა შალვას ასულ **მირიანაშვილს** — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთერ გიორგის ასულ **მოციქულაშვილს** — გორის გ. ერისთავის სახელობის სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ბარბარე (ცაცა) ილიას ასულ **პეტროვას** — თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრის მსახიობს.

ელენე ვლადიმერის ასულ **რჩეულიშვილს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კონცერტმეისტერს.

ნინო მიხეილის ასულ **საკანდელიძეს** — ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

თამარ ერმილეს ასულ **სხირტლაძეს** — რუსთავის დრამატული თეატრის მსახიობს.

ნანა ლევანის ასულ **ფაჩუაშვილს** — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს.

ნათელა სერაფიონის ასულ **ფცქიალაძეს** — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გუნდის მსახიობს.

მარგარიტა ლავრენტის ასულ **ფხაკაძეს** — ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ნათელა ვლადიმერის ასულ **სვანიშვილს** — ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგეს.

ეთერ ილიას ასულ **ქადაგიშვილს** — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გუნდის მსახიობს.

ნინო ალექსანდრეს ასულ **ქაჯაიას** — ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

ლეილა გრიგოლის ასულ **შოთაძეს** — რუსთავის დრამატული თეატრის მსახიობს.

ოლღა ალექსანდრეს ასულ **შუბითიძეს** — თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ჟუჟუნა შალვას ასულ **ჩხეიძეს** — ფოთის ვ. გუნიას სახელობის სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

მედეა აკაკის ასულ **ძიძიგურს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

ელენე პეტრეს ასულ **ჭავჭავაძეს** — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს.

ეთერ ტარასის ასულ **ჭელიძეს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

დიანა ერმილეს ასულ **ჯიტავას** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის:

თეონა გიორგის ასულ **ასიტაშვილს** — მხატვარ-რესტავრატორს.
ბელა ალექსანდრეს ასულ **ბერძენიშვილს** — მხატვარ-მონუმენტალისტს.
ნანა ვლადიმერის ასულ **ბოტკოველს** — მხატვარ-კერამიკოსს.
ელენე ალექსანდრეს ასულ **თულაშვილს** — მხატვარ-გრაფიკოსს.
ალდე გრიგოლის ასულ **კაკაბაძეს** — მხატვარ-კერამიკოსს.
ელეონორა (ნელი) ნიკოლოზის ასულ **კანდელაკს** — მხატვარ-ფერმწერს.
კლარა კარლოს ასულ **კვესს** — მხატვარ-რესტავრატორს.
ელისაბედ ალექსანდრეს ასულ **მაყაშვილს** — მხატვარ-ფერმწერს.
ნანული არჩილის ასულ **მესხიძეს** — მხატვარ-ფერმწერს.
გუგა არჩილის ასულ **მიქაძეს** — მოქანდაკეს.
მერი ალექსანდრეს ასულ **მიქელაძე-ბაგრატიონს** — მხატვარ- რესტავრატორს.
ნათელა ალექსანდრეს ასულ **ღიბრაძეს** — მხატვარ-ფერმწერს.
ნინო გიორგის ასულ **ცაგარელს** — თეატრის მხატვარს.
ბარბარე თევდორეს ასულ **ცინცაძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" მხატვარს.
მარიამ გიორგის ასულ **ძაგანიას** — კონოსტუდია „ქართული ფილმის" მხატვარს.
მერი დომენტის ასულ **ჯალაღანიას** — მხატვარ-კერამიკოსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 28 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

110 მწერალ ვ. ლ. მრელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, მწერალი ვლადიმერ ლევანის ძე **მრელაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 4 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

111 საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ფსიქიატრიული მეცნიერების განვითარებაში წარმატებებისათვის, მოსახლეობისათვის ფსიქონევროლოგიური დახმარების საქმეში გაწეული დიდი მუშაობისა და კვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის, დაარსების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს **მ. მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 23 ივნისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

112 საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და რესპუბლიკური ფსიქიატრიული კლინიკური საავადმყოფოს მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებასა და მოსახლეობისათვის ფსიქონევროლოგიური დახმარების საქმეში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაარსების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და რესპუბლიკური ფსიქიატრიული კლინიკური საავადმყოფოს მუშაკები:

პაშა ნიკიტას ასული **ახობაძე** — საავადმყოფოს მედიცინის დ.

ნინო ესტატეს ასული **ბიძინაშვილი** — საავადმყოფოს მედიცინის დ.

ნინო იოსების ასული **ბოსტოღანაშვილი** — საავადმყოფოს განყოფილების გამგე.

შოთა აკაკის ძე **გამყრელიძე** — ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

ოლღა პეტრეს ასული **გლატკოსკოკ** — საავადმყოფოს სანიტარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევტიხი გიორგის ძე **გობრონიძე** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფსიქიატრიის კათედრის გამგე.

ალექსანდრა ნიკოლოზის ასული **გოგინაშვილი** — საავადმყოფოს უფროსი მედიცინის და.

მზია სიმონის ასული **გოგიჩაიშვილი** — ექიმი.

ანა პეტრეს ასული **ვაჩნაძე** — ინსტიტუტის ლაბორანტი.

შოთა ივანეს ძე **თანიაშვილი** — ინსტიტუტის ავტომანქანის მძღოლი.

პარმენ სიმონის ძე **კვაჭაძე** — საავადმყოფოს ავტომანქანის მძღოლი.

ფაიზულა მიხეილის ძე **კონტრიძე** — ინსტიტუტის განყოფილების მეცნიერ-ხელმძღვანელი, პროფესორი.

ზინაიდა არტემის ასული **კოსტანდოვა-კონტრიძე** — საავადმყოფოს განყოფილების გამგე.

ალექსანდრე მათეს ძე **მაკარიძე** — თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ფსიქიატრიის ციკლის ხელმძღვანელი.

აბელ ფრიდონის ძე **მამარდაშვილი** — ინსტიტუტის განყოფილების მეცნიერ-ხელმძღვანელი.

მირიან გიორგის ძე **მესტიაშვილი** — ინსტიტუტის განყოფილების მეცნიერ-ხელმძღვანელი.

მარიამ ილიას ასული **ნათაძე** — საავადმყოფოს დიასახლისი.

თამარ არჩილის ასული **ნანეიშვილი** — ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

თამარ ალექსანდრეს ასული **ნასყიდაშვილი** — საავადმყოფოს მედიცინის და.

ალექსანდრა მიხეილის ასული **ჟუკოვა** — საავადმყოფოს განყოფილების გამგე.

ოლღა ნიკოლოზის ასული **ფანცულაია** — საავადმყოფოს მედიცინის და.

ვახტანგ ნესტორის ძე **ჩიხლაძე** — საავადმყოფოს განყოფილების გამგე.

სერგო ვასილის ძე **წულაძე** — ინსტიტუტის ლაბორატორიის მეცნიერ-ხელმძღვანელი.

ვერა პავლეს ასული **ჯიმშელეიშვილი** — ინსტიტუტის განყოფილების მეცნიერ-ხელმძღვანელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 23 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

113 პროფესორ ი. ბ. იმნაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტის კათედრის პროფესორი ივანე ბესარიონის ძე **იმნაიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 25 **ივნისი.**

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

114 ამხ. ჯ. კ. კალაევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

იურისპრუდენციის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ამხ. ჯალილ კარა-ოღლი **კალაევი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 25 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

115 ამხ. ნ. გ. მირიანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

იურისპრუდენციის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ამხ. ნინო გრიგოლის ასული **მირიანაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 25 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

116 პროფესორ გ. ნ. ქარცივაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე პროფესორი გიორგი ნიკოლოზის ძე **ქარცივაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 25 ივნისი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა საკითხი არასრულწლოვანთა სპეციალური აღმზრდელობითი დაწესებულებების მუშაობის შესახებ, აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა გარკვეული მუშაობა გასწიეს მათდამი დაქვემდებარებულ სპეციალურ სკოლასა და სასწავლებელში ძნელად აღსაზრდელ არასრულწლოვანთა გამოსწორებისა და მართლწესრიგის დამრღვევ მოზარდთა ახლებურად აღზრდისათვის.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა სპეციალურ აღმზრდელობით დაწესებულებათა მუშაობაში კვლავ არის არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები.

სამტრედიის სპეციალურ სკოლაში წლების განმავლობაში ვერ მოხერხდა მოზარდთა გამოსწორების ერთ-ერთი მთავარი საშუალების — შრომითი აღზრდა-სწავლების შემოღება. არ არის მოწყობილი საწარმოო სახელოსნოები, ნაკლოვანებებია კლასგარეშე მუშაობაში, არ არის ჩამოყალიბებული სხვადასხვა ტექნიკური წრეები, ჯეროვნად არ იყენებენ ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის ყველა საშუალებას. სასწავლო კაბინეტებს თვალსაჩინოებანი და ხელსაწყო-იარაღები მცირე რაოდენობით აქვთ. მცირეა აგრეთვე სკოლის ბიბლიოთეკის მხატვრული და ტექნიკური ლიტერატურის ფონდი, მოსწავლეთა ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და თეთრეულის მარაგი ნაკლებია ნორმით დაწესებულზე. სკოლას არა აქვს საზაფხულო გამაჯანსაღებელი ბაზა მოსწავლეთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხინვალის სპეციალური პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ყველა შენობას სჭირდება კაპიტალური რემონტი. შესაკეთებელია გათბობის სისტემა, საამქროთა შენობები; დაზგა-დანადგარები მოძველებულია, აყრილია იატაკი, ჩამოდის წყალი, არ არის გათბობა.

სასწავლებლის პედაგოგები წლების მანძილზე არ იგზავნებიან კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე, არ არიან უზრუნველყოფილი დამხმარე მეთოდური ლიტერატურით, საჭირო თვალსაჩინოებით.

ძალზე დაბალია აღმზრდელობითი მუშაობის დონე.

სასწავლებელი ცუდად მარაგდება ბოსტნეულით, ხილითა და თევზეულით. მოსწავლეებს ეძლევათ უხარისხო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

არა აქვთ საჭირო ბაზა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისათვის.

აღნიშნული ნაკლოვანებები ძირითადად განპირობებულია იმით, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა ვერ შექმნეს საჭირო პირობები მათდამი დაქვემდებარებული არასრულწლოვანთა სპეციალური აღმზრდელობითი დაწესებულებების ნორმალური მუშაობისათვის.

სამტრედიის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა და მასთან არსებულმა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიამ მიმდინარე წლის თებერვალში განიხილეს სპეციალური სკოლის მუშაობის საკითხი, მაგრამ დასახულ ღონისძიებათა ნაწილი შეუსრულებელია. კვლავ სუსტად მუშაობენ მზრუნველთა საბჭო და საშეფო ორგანიზაციები.

ცხინვალის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და მასთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისია ჯეროვან დახმარებასა და კონტროლს არ უწევენ სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს. არ სწავლობენ და არ იხილავენ მის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს. საშეფო მუშაობა ფაქტიურად ჩაშლილია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს დასახონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი მათდამი დაქვემდებარებული სპეციალური აღმზრდელობითი დაწესებულებების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების სალიკვიდაციოდ, რისთვისაც:

მკვეთრად გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლების დონის ამაღლებას, უზრუნველყონ მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა მწარმოებლურ შრომაში;

მეტი ყურადღება დაუთმონ პროფილაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებათა სისტემატურ განხორციელებას, სამართლებრივ სწავლებას, შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას;

გააუმჯობესონ მოსწავლეთა ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის საქმე სწავლის, შრომისა და დასვენების სწორად ორგანიზაციის საფუძველზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყონ კლასგარეშე მუშაობის დონის ამაღლება, საგნობრივი ტექნიკური და თვითშემოქმედების წრეების ჩამოყალიბება და მათი ეფექტიანი მუშაობა;

მეტი მეთოდური დახმარება გაუწიონ პედაგოგებსა და აღმზრდელებს, მიაწოდონ დამხმარე ლიტერატურა, იზრუნონ მათი კვალიფიკაციის სისტემატურ ამაღლებაზე;

მშრომელთა დეპუტატების ცხინვალის საქალაქო და სამტრედიის რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად განახორციელონ საჭირო ღონისძიებები სპეციალური სასწავლო აღმზრდელობითი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მშრომელთა დეპუტატების სამტრედიის რაიონული საბჭოს აღმასკომთან ერთად მიიღოს ზომები სამტრედიის სპეციალურ სკოლაში 1976-77 სასწავლო წლის დასაწყისისათვის საწარმოო სახელოსნოების მოსაწყობად

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს წინადადება მიეცა არასრულწლოვანთა სპეციალური აღმზრდელობითი დაწესებულებები შეუფერხებლად მოამარაგოს ტანსაცმლითა და კვების პროდუქტებით.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს დაევალა უზრუნველყოს ქ. ცხინვალის სპეციალური პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლისათვის ახალი შენობის მშენებლობის დადგენილ ვადაში დამთავრება.

მშრომელთა დეპუტატების ცხინვალის საქალაქო და სამტრედიის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ მუდმივი კონტროლი და დახმარება გაუწიონ არასრულწლოვანთა სპეციალურ აღმზრდელობით დაწესებულებებს, მიაღწიონ იმას, რომ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებმა, მზრუნველთა საბჭოებმა და საშეფო ორგანიზაციებმა ყოველდღიური ქმედითი დახმარება გაუწიონ აღნიშნულ დაწესებულებებს. ამ საქმიანობაში ფართოდ ჩააბან საბჭოების შესაბამისი მუდმივი და აღმასკომებთან არსებული კომისიები, დეპუტატები და აქტივი.

საქართველოს სსრ პროკურატურამ გააძლიეროს ზედამხედველობა არასრულწლოვანთა სპეციალურ აღმზრდელობით დაწესებულებათა საქმიანობის კანონიერებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივმა კომისიამ მოისმინა კომისიის წევრის დეპუტატ ო. მენაბდეს მოხსენება ახალგაზრდა დეპუტატებთან მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა და სიტყვებით გამოსულმა მუდმივი კომისიის წევრმა, დეპუტატმა შ. დევდარიანმა, 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომის მდივანმა რ. სტურუამ, კიროვის რაისაბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ლ. ფირცხალავამ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ედიშერაშვილმა, რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. უბირიამ, გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. დაშდამიროვმა აღნიშნეს, რომ საბჭოების აღმასკომები, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, გარკვეულ ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდა დეპუტატებთან მუშაობას.

ამასთან, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მუშაობა ახალგაზრდა დეპუტატებთან ხასიათდება სერიოზული ნაკლოვანებებით.

როგორც წესი, საბჭოების აღმასკომებს არა აქვთ შედგენილი ახალგაზრდა დეპუტატებთან მუშაობის გეგმები, რიგ შემთხვევაში საჭირო პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ დეპუტატებს მათ წინაშე დასმული ცალკეული საკითხების გადაწყვეტაში, მათი დიდი ნაწილი მონაწილეობას არ იღებს სესიებისა და აღმასკომებისათვის საკითხების მომზადებასა და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების შემოწმებაში.

ახალგაზრდა დეპუტატები არადამაკმაყოფილებლად მონაწილეობენ პროფილაქტიკურ მუშაობაში დამნაშავეობის თავიდან აცილების მიზნით, მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში, ახალი წეს-ჩვეულებების დანერგვა-გავრცელებაში.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ვასაძემ.

*
* *

მშენებლობის, კომუნალური მეურნეობის და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის სხდომამ მოისმინა მისი თავმჯდომარის, დეპუტატ ნ. ენდელაძის მოხსენება სოფლად მშენებლობის გეგმების შესრულებისა და სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის შესახებ რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში. მომხსენებელმა და სიტყვებით გამოსულმა მუდმივი კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა რ. გოგიჩაშვილმა, გ. ქურციკიძემ, ვ. ქურციკაშვილმა, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ მ. ქოჩაკიძემ, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილემ მ. კიკნაძემ აღნიშნეს, რომ ბოლო დროს რესპუბლიკის სოფლებში აშენდა და საექსპლუატაციოდ გადაეცა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო, კომუნალური, საყოფაცხოვრებო და საწარმოო დანიშნულების ბევრი ობიექტი. გაუმჯობესდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების და საწარმოო კომბინატების მიერ გამოშვებული საშენი მასალებისა და კონსტრუქციების ხარისხი.

მიუხედავად მიღებული ზომებისა მშენებლობის მდგომარეობა სოფლად არ პასუხობს იმ მოთხოვნებსა ლა ამოცანებს, რომლებიც სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ.

ბევრი ობიექტი, რომელიც მიმდინარე წლის მშენებლობის გეგმითაა გათვალისწინებული, ჯერ კიდევ უზრუნველყოფილი არ არის ტექნიკური დოკუმე-

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნტაციით. შეფერხებებია ტრანსპორტით, მექანიზმებით, სამშენებლო მასალებით და კონსტრუქციებით უზრუნველყოფის საქმეში. აკლიათ მუშახელი.

სამშენებლო ტრესტებსა და სპეციალიზებულ სამმართველოებში ვერ ითვისებენ გამოყოფილ თანხებს. ხშირად გეგმით გათვალისწინებულ ობიექტებს დროულად არ აბარებენ საექსპლუატაციოდ.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები იშვიათად იხილავენ სოფლად ობიექტების მშენებლობის მდგომარეობის საკითხს. არ ღებულობენ საჭირო ზომებს არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

*

* *

განხილულ საკითხებზე კომისიებმა მიიღეს სათანადო დადგენილებანი.

საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1976 წლის 30 ივნისის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 280 მრავალშვილიანი დედა:

ქ. თბილისში		44
ქ. ტყიბულში		4
ადიგენის	რაიონში	4
ამბროლაურის	„	5
ბოგდანოვკის	„	7
გეგეჭკორის	„	7
გორის	„	22
დმანისის	„	36
დუშეთის	„	5
ზუგდიდის	„	8
თელავის	„	1
თიანეთის	„	1
კასპის	„	9
ლაგოდეხის	„	17
მარნეულის	„	49
მესტიის	„	6
მცხეთის	„	5
ონის	„	1
ორჯონიკიძის	„	1
ქარელის	„	6
ცხაკაიას	„	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

წალენჯიხის	რაიონში	12
წალკის	„	16
წყალტუბოს	„	6
ხობის	„	7
სამხრეთ ოსეთის ა/ო		5

*

* *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1976 წლის 30 ივნისის ბრძანებულებით მედლით „შრომის ვეტერანი" დააჯილდოვა 340 კაცი:

ქ. თბილისში		254
ქ. ქუთაისში		40
ახალქალაქის	რაიონში	18
მარნეულის	„	7
მცხეთის	„	4
თეთრი წყაროს	„	4
თერჯოლის	„	13
ხაშურის	„	6